ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 3 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- **ელმურატოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №66317/09**

აპლიკანტი ზიადულო ელმურატოვი უზბეკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1966 წელს. 2008 წლის თებერვალში ის ჩავიდა რუსეთში სამუშაოდ და ამჟამად ცხოვრობს სანქტ-პეტერბურგში (რუსეთი). 2009 წლის აპრილში იგი დააპატიმრეს, რადგან უზბეკეთში იძებნებოდა რქოსანი პირუტყვის ქურდობისათვის და მოათავსეს საპატიმროში, საიდანაც იგი შემდგომში იქნებოდა ექსტრადირებული უზბეკეთში. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მის მიმართ განხორციელდება არაადამიანური მოპყრობა. განსაკუთრებით იგი ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლსა (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) და კონვენციის მე-5 მუხლის I და IV ნაწილებს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლის, ხოლო კონვენციის მე-5 მუხლის I და IV ნაწილები მიიჩნია დარღვეულად.

სახელმწიფოს დაეკისრა 25 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 3 000 ევროს გადახდა დანახარჯების დასაფარად.

სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის (დროებითი ღონისძიება) შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ აპლიკანტი არ უნდა იქნეს ექსტრადირებული, ვიდრე აღნიშნული განჩინება არ შევა ძალაში, ან სხვა განკარგულება არ გაიცემა.

- **კუპცოვი და კუპცოვა რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №6110/03**

აპლიკანტები დენის კუპცოვი და მისი დედა ლუდმილა კუპცოვა რუსეთის მოქალაქენი არიან, დაიბადნენ 1987 და 1962 წლებში და ცხოვრობენ ვოლგოგრადში (რუსეთი). საქმე ეხება ბატონი კუპცოვის წინასწარ პატიმრობასა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის განხილვებს, რომელიც 2002/2003 წლებში მიმდინარეობდა, როდესაც ის იყო არასრულწლოვანი. მას ბრალად ედებოდა ყაჩაღობა, რომელიც თანამზრახველებთან ერთად ჩაიდინა. კონვენციის მე-3 მუხლსზე დაყრდნობით, იგი ჩივის, რომ პოლიციის განყოფილებაში დააკავეს ერთი კვისი განმავლობაში, სადაც ის შემაძრწუნებელ პირობებში იმყოფებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის I, II და IV ნაწილებზე დაყრდნობით, აპლიკანტი ჩივის, რომ მისი წინასწარი პატიმრობა იყო უკანონო და ხანგრძლივი და მის მიმართ დაირღვა პროცედურული გარანტიები. ასევე, იგი მიუთითებს, რომ მის მიმართ

დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილიც, რადგან მის წინააღმდეგ წარმართული სასამართლო განხილვები იყო არასამართლიანი.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის I, III და IV ნაწილები და კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, ბატონი კუპცოვის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ დამდგარა დროულად.

- **ცარენკო რუსეთის წინააღმდეგ - განაცხადი №5235/09**

აპლიკანტი ვიტალი ცარენკო რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1989 წელს და ცხოვრობდა სანქტ-პეტერბურგში (რუსეთი) ვიდრე მას არ დააპატიმრებდნენ 2007 წლის მარტში რამდენიმე ადამიანის მკვლელობაში ბრალდების გამო. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-13 მუხლი და მე-5 მუხლის I, III და IV ნაწილები. კერძოდ, მისი თქმით იგი უკანონოდ იყო დაკავებული თითქმის რვა თვის მანძილზე, თითქმის ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა არაადამიანურ პირობებში საპატიმროში და მას არ ჰქონდა ყოველივე ამის გასაჩივრების საშუალება.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი მე-13 მუხლთან მიმართებაში და მე-5 მუხლის I, III და IV ნაწილები.

სახელმწიფოს დაეკისრა 24 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზალიას ასანაზღაურებლად, ხოლო 3 000 ევროს გადახდა – დანახარჯების დასაფარავად.

- **მერკულოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №21454/04**

აპლიკანტი ნატალია მერკულოვა უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1955 წელს და ცხოვრობს დუდარკივში (უკრაინა). მისი შვილი გარდაიცვალა 1997 წელს საავადმყოფოში მოთავსებიდან 2 კვირაში, მას შემდეგ რაც იგი ნაცნობმა სცემა. აპლიკანტი მიუთითებს, რომ შესაბამისი საგამოძიებო სამსახურების მიერ არ იქნა ჩატარებული ჯეროვანი გამოძიება მისი ვაჟიშვილის გარდაცვალების ფაქტზე, რითიც დაირღვა კოვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება).

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-2 მუხლი და სახელმწიფოს დაეკისრა 12 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

- **ჟუკოვსკი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №31240/03**

აპლიკანტი ანდრეი ჟუკოვსკი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1979 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის მკვლელობისათვის უკრაინაში. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილი, რადგან მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა უსამართლოდ და მას ასევე არ მიეცა საშუალება იმ მოწმის დაკისთვისა, რომელიც მის წინააღმდეგ იძლეოდა ჩვენებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილები. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ დამდგარა.

გაჭიანურებული საქმეები

- **იანკე გერმანიის წინააღმდეგ – განაცხადი №39641/08**

აღნიშნულ საქმეზე განმცხადებელი კონკრეტულად ჩივის, რომ მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ფულის გათეთრების ბრალდებას ეხებოდა, მიმდინარეობდა გაჭიანურებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირრვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი კონვენციის მე-13 მუხლთან ერთად.

- ავრამენკო უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №24685/07
- კოლესნიკოვა უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №7536/05
- პრასოვი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №27685/04
- შეპტიტსკაია და შეპტიტსკი უკრაინის წინააღმდეგ – განაცხადი №23747/05

ზემოხსენებულ საქმეებზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.